ქონებრივი სახე განყოფილებისა ასეთი იყო: შემოსავალი II67 მან. 79 ვ., გასავალი 649 მ. 52 ვ. ნაშთი 1917წ. I იანვრისათვის 518 მ. 273

საანგარიშო წელს განყოფილებას ჰყავდა 73 წევრი.

გ ა ნ ჯ ი ს -

დაარსდა 1913 წ. გამგეობაში იყვნენ: სოლ. მარაბელი/თავმჯდომარე/, ფრიფონ თაბუკაშვილი/მღივანი/, ლ. ხარაძე /მოლარე/, ჭაფარიძე, ცხალია, გ. ბერიშვილი, ა. ფირცხელაიშვილი.

განყოფილებას წინა წელს ჰყავდა 100 წევრი.


ანგარიში არ ჩარმოუდგენია.

გ მ რ ი ს -

დაარსდა 1912 წელს. გამგეობას შეადგენენ: ნიკოლოზ შიუკაშვილი/თავმჯდომარე/; ამბროსი მებურიშვილი/თავმჯდომარის ამხანაგი/; დავით მაჭავარიანი/მღივანი/; ივანე კვალიაშვილი/ხაზინადარი/; თავ. ნიკოლოზ თუმანიშვილი, შარმენ ჭაფარიძე და კირილე არველაძე.

სარევიზიო კომისიაში არიან: ავთანდილ ჭულაბაშვილი, კონსტ. ქარაყანიძე და გიორგი ბეროშაშვილი.

1916 წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 14 სხდომა და გაარჩია



70 საქმე. სხლომებს დაესწრენ: შიუკაშვილი I მ ჯერ, მეტურიშვილი-II-, მაჭავარიანი-9-, კვალიაშვილი-I მ-, თუმანიშვილი-7-, არველაძე-5-, ჯაფარიძე 9-ჯერ.

საანგარიშო წლის განმავლობაში შესდვა ერთი საზოგადო კრება, რომელ ზელაჲ განხილულ იქმნა წინა წლის ანგარიში და დამტკიცდა 1916 წლის სავარაუდო ანგარიში.

საანგარიშო წელს განყოფილების ნამდვილ ჴევრებად ირიცხებოდნენ II 5 კაცი. განყოფილებას განზრახული ჴქონდა ნიკო ლომაურის სახელობის სკო-ლა დაეარსებინა, ამ მიზნისთვის შეავროვა ვიდეც I 052 მ.5კ., მაგრამ სიძვირისა და სადგომის უშოვნელობისა გამო ეს განზრახვა განყოფილე-ბამ ვერ განახორციელა. საანგარიშო წელს ქონებრივ სახსრის გაძლიერე-ბისათვის განყოფილებამ შეიძინა სავანცელარო ნივთების მალაშია, რომ-ლის მოგება განზრახულია მოზმარდეს ლომაურისეზულ სკოლის გახსნას და არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

განყოფილებას აქვს ერთი წიგნთ-საცავ სამკითხველო.

საანგარიშო წლის შემოსავალ-გასხავალი ასეთია: შემოსავალი 8445 მ. 59 კ. გასხავალი 789 მ. 48კ., 1917 წლის I იანვრისათვის ნაშთი 2706მ. 16 კ.აპ.

1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ასეა ნავარაუდები: შემოსავალი 8288 მ. 81 კ., გასხავალი 8288 მ.81კ.

გ უ ღ ა უ თ ი ს -

გაიხსნა 1912 წელს. საანგარიშო წელს შემადგენლობა გამგეობისა ასეთი იყო: მაჭიაშვილი მ. საბაშვილისა/თავმჯდომარე/; ალ. ივ. შაქარა-შვილი/მდივანი; იასონ იესეს ძე გოგიბერია/ხაზნაღარი/; გუგუცა ალექ-სის ასული ჩაჩავასი, ირაკლი ალექსის ძე მახსულია, იროდ. დიმ. ჩხიკა-ძე, მ .დ. ჩხიკვაძისა, კოსტა დიმიტ. ბაღავაძე.

სარევიზიო კომისიაში შედიოდნენ: დიმ. შავ. ნაღარეიშვილი, შლაგონ დავითის ძე ჴავჭავანიძე და სიმონ იესეს ძე საბაშვილი.

საანგარიშო წლის I მარტიდან წლის განმავლობაში <sup>გაუქმდა</sup> ჴქონდა სულ II სხლომა და განიხილა 5 საქმე.


წევრთა რიცხვი 1916 წელს იყო 72.

ქონებრივი ყოფა-ვითარება განყოფილებისა შემდეგი იყო: შემოსავალი ჴქონდა 8871 მან. 78კ., გასხავალი 752 მ.64 კ., 1917 წლის I იანვრისა-თვის ნაშთი 8119 მ. 09 კ.

დანარჩენი ცნობები მთავარ გამგეობას არ მიუღია.

გ უ მ ბ რ ი ს -

დაარსდა 1916 წელს. თავმჯდომარე არის გ. ქორქაშვილი, გამგეობის ჴევრებად ა. ციხისთავი, ნ. მამულაიშვილი, ი. ტყეშელაშვილი, და ე.



ფარულია. წევრთა რიცხვი იყო 212. /სხვა ცნობები მთავარ გამგეობას არ მიუღია/.

დ უ შ ე თ ი ს -

დაარსდა 1914 წელს. საანგარიშო წელს გამგეობას შეადგენდნენ: მღვდელი კონსტანტინე ვაჟვასიძე/თავმჯღომარე/; ქრისტეფორე ვლად. ფიცხელაური/თავმჯღომარის ამხანაგი და მდივანი/; ვასილ კირილეს ძე მამისაშვილი /ხაზინადარი/; გიორგი იას. მთვარულიშვილი, იასონ გიორგის ძე ფავენიშვილი, გიორგი ივ. გალაშვილი, ალ. ივ. კეჭელი.

სარევიზიო კომისიაში იყვნენ: გრიგოლ დავ. მახისრაძე, ალ. შუგ. ცაგარელი, ძღვლ. ევგენი ვაველაშვილი.

საანგარიშო წელს გამგეობას შექონდა 4 სხდომა და გარჩია 8 საქმე. 1916 წელს მოწვეულ იყო სამჯერ საზოგადო კრება ახალ თავმჯღომარის ახარჩევად ნაცვლად ლუკაშვილისა, მაგრამ ქვორუმი ორჯელ არ შეიკრიბა, ხოლო მესამედ მოწვეულ კრებაზე გამოცხადდა 16 ვაცი; ეს კრება, რომელიც მოხდა 29 აგვისტოს, კანონიერად ჩაითვალა. მაშინ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია და გამოიყვანა სხვა და სხვა საკითხის შესახებ შესაფერი დადგენილებანი განყოფილების მოქმედებაში მეფი სარევიზიო კომისიის შედარისათვის, მაგრამ, როგორც თვით განყოფილების გამგეობა აღნიშნავს, ომიანობისა და წინა ორი თავმჯღომარის სხვა აღვილას გადაყვანის გამო, რომელსაც მოჰყვა ახალი არჩევნები, 29 აგვისტოს არჩეულმა გამგეობამ საანგარიშო წლის ბოლომდე უნარი ვერ გამოიჩინა.

1916 წელს დააკვლდა 67 წევრი, ხოლო 1917 წლის I იანვარისათვის იყო 40 წევრი.

1916 წელს შეყვდა 40 წევრი.

საანგარიშო წელს განყოფილებას შემოსავალი შექონდა 488 მ. 28 კ. რომელიც ხელუხლებელ თანხად ინახება.

1917 წ. ხარკთ-აღრიცხვან განყოფილებას აქვს ნავარაუდები: შემოსავალი 540 მ. ვასავალი 120 მან.

ე რ ე ვ ნ ი ს -

დაარსდა 1918 წელს. შემადგენლობა გამგეობისა მიმდინარე წელს იყო შემდეგი: ლესხინე გიორგის ასული სიღვახისი/თავმჯღომარე/; გიორგი ქრ. კვიციანი/მდივანი/; ალ. ნიკ. ბასილაია/ხაზინადარი/; დევ. იაკობ ფხაკაძე/ლევან იასონის ძე ნათაძე.

სარევიზიო კომისია განყოფილებას არა შეყვდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში მარტიდან, როცა გამგეობამ დაიწყო მოქმედება, შესდგა 6 სხდომა და გარჩია 10 საქმე. სხდომებს დაესწრნენ: სიღვახისი ნ-ჭერ, ბასილაია-ნ-, კვიციანი-ნ-, ფხაკაძე-4-, ნათაძე-I-,

განყოფილებას 1916 წელს ჰყავდა 80 წევრი.

საანგარიშო წელს გამგეობას განზრახვალ ჰქონდა ვაუხსნა ჩიგნთ-საცავ-სამკითხველო, მაგრამ ბინის არარეველუბრივ სიძვირისა გამო. ამის განხორციელება ვერ შესძლო, სამაგიეროდ გამგეობამ შეაგროვა საშანთონო ფონდის გასაძლიერებლად 151 მ., გაამრავლა წევრთა რიცხვი /იყო 28, საანგარიშო წელს არის 80/ მოაჩყო ერთი სახალხო ლექცია თამარ მეფეზე და ქონებრივ სახსრის გასაუმჯობესებლად შეაგროვა 180 მან.

1916 წელს შემოსავალი ჰქონდა 1267 მ. 88 კ., გასავალი 42 მან. 48 კ., ნაშთი 1917 წლის I იანვრისთვის 1225 მ. 40 კ.

ვ ა ნ ი ს -

ვაიხსნა 1918 წელს. გამგეობაში შედიოდნენ: მეუქისელექ შავლეს ძე ხელთაძე/თავმჯდომარე/; გელეონ ლაშარეს ძე მეფარიშვილი/თავმჯდომარეს ამხანაგი/; სიმონ შარშენის ძე ნიკოლეიშვილი/მდივანი/; ბაგრატ ფილიპეს ძე ნამიჭვიშვილი, ბესარიონ ივანეს ძე ნაღრიძე, შლანგონ ლუკას ძე აბაშიძე და ცარიელ ნესფორის ძე ახვლედიანი.

სარევიზიო კომისიის წევრნი იყვნენ: იაკობ კონსტ. მესხი, ლიმიცრის ლაშარ. ბელთაძე და სიმონ ბურკაძე.

გამგეობამ მოქმედება დაიწყო საანგარიშო წლის I ივლისიდან და თავის ხდომეგზე გაარჩია ხუთი საქმეა.

1916 წელს ჰყავდა 70 წევრი.

საანგარიშო წელს განყოფილების შემოსავალი იყო 589 მ. 52 კ., ხოლო გასავალი 145 მ. 52 კ., 1917 წლის I იანვრისათვის ნაშთი იყო 394 მანეთი.

დანარჩენი ცნობები მთავარ გამგეობას განყოფილებისაგან არ მიუღია.

შ უ გ დ ი დ ი ს -

დაარსდა 1912 წელს. ანგარიში არ წარმოუდგენია.

თბილისის -


დაარსდა 1916 წ., მაგრამ მოქმედება დაიწყო მიმდინარე 1917 წელს.

თ ე ლ ა ვ ი ს -

დაარსდა 1909 წ. განყოფილებას ჰყავდა 92 ნამდვილი წევრი. ანგარიში არ წარმოუდგენია.

ვ ა ვ ვ ა ვ ი ს -

დაარსდა 1909 წ. გამგეობაში იყვნენ: შ.ლ. კიკნაძე/თავმჯდომარე/ მღვ. გ.გ. ნათაძე/თავმჯდ. ამხანაგი/; ვ.გ. ქუშისიშვილი/მდივანი / შ.დ. მჭედლიშვილი/მოლარე/, ვრ. მ. ბურდული, იხ. ფიცხელაური, ი.ი. მთვარელიშვილი, დ.დ. ცისკარიშვილი, ა.გ. როინაშვილი და ვ. კაიბაური. გამგეობის მოქმედებაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ი.გ. შვი-



ლიევი. სარევიზიო კომისიის შემადგენლობა კი ასეთი იყო: ი.დ. ლავი-თაშვილი, დ. ვაშალომიძე და ა.ვ. ჩხუბიანი.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 26 სხდომა, რომელშიც გარჩეულ იქმნა 62 საქმე. მათ შორის აღსანიშნავია:

- I/ სკოლის აღვილის გამოსყიდვა
- 2/ სკოლისათვის უძრავი ქონების შეძენა
- 3/ პირველ პარალელურ განყოფილების მოშავება
- 4/ სკოლის ბაღის შემოღობვა,
- 5/ დაარსება სამკითხველსი და საკვირაო სკოლისა და
- 6/ მ.წ. ყიფიანის გარდაცვალების 26 წლისთავის აღნიშვნა.

განყოფილების ხელში იყო: ქართული სკოლა საკუთარი ეკლესიით და სათეატრო დარბაზით, ქალთა სასწავლებელი ჭრა-კერვისა, საკვირაო სკოლა და სახალხო სამკითხველო.

სკოლას ჰყავდა შემდეგი მასწავლებლები: ელ. ციციშვილი, ვ. მიქაბერიძე /გამგე/ ვ. მაჭავარიანი, ს. კიკაჩიშვილი და მლ. გ.გ. ნათაძე/სამღვთო სკული/. ჭრა-კერვის მასწავლებლებად ირიცხებოდნენ: სარა გორგაძე, ევაფ. მარკოზაშვილისა, რომელმაც სამსახურის თავი დაანება თებერვალში და მისი მოადგილე ნინო კობახიძე.

ქონებრივი სახე განყოფილებისა ასეთი იყო: შემოსავალი-11045 მ. 72 ვ., ხოლო გასავალი 7,100 მ. 08 ვ., ნაშთი 1917 წლ. I იანვრისათვის 3945 მ. 69 ვ.

1917 წლის ხარკთ-აღრიცხვა განყოფილების გამგეობას ასე აქვს ნაწარუდღევი: შემოსავალი 9785 მ. 69 ვ., გასავალი 7100 მ. 08 ვ. განყოფილებას ჰყავდა 371 ნამღვილი წევრი.

ლ ა ნ რ ხ უ თ ი ს -

1 დაარსდა 1915 წ. განყოფილებას ჰყავდა 14ხ წევრი.

ანგარიში არ წარმოუდგენია.

ლ ი ხ ა უ რ ი ს -

2 გაიხსნა 1912 წ. ანგარიში არ წარმოუდგენია.


ო ნ ი ს -

3 გაიხსნა 1914 წ. ანგარიში არ წარმოუდგენია.

ო მ უ რ გ ე თ ი ს -

დაარსდა 1916 წელს. გამგეობა აირჩა 2 ოქტომბრის საზოგადო კრებაზე: ~~თლო~~ დმ.კონსკ. ერისთავი/თავმჯდომარე/; თავმჯდომარის ამხანაგი-ანნა მეთოდეს ასული ჭყონიასი, მღივნად- მიხ. სამსონის ძე საბაშვილი, მოლარედ-რუბენ ლეონტის ძე ჩხაიძე; წევრებად: ნადეჟა მოხეს ასული თოთიბაძისა, ავთანდილ შორტ. ინგოროყვა, გერმანეოსების-ძე გოგიტიძე, ანტონ მაქსიმეს ძე მუჭირი და სეფე- ივანეს ძე ბურჭულაძე. ვანდილაფებად: აშ. ქულაძე და არფ. თედორიძე.

სარევიზიო კომისიაში შედიოდნენ: გრიგოლ მაქსიმეს ძე ჩიჩუა,



ბეჟან ვასილის ძე ხუნდაძე და თეოფილე იოსების ძე გოგიტიძე.

გამგეობამ დაიწყო მოქმედება 1916 წლის ოქტომბერს; სხლომა ჰქონდა ოთხჯერ წლის დამლევამდე.

გამგეობასთან არსებობს დრამატული სექცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული უხელმძღვანელოს სყენის მოყვარეთა წრეს. სექციას შეადგენენ: ნაღუდა თოთიბაძისა, გერმან გოგიტიძე და მტ. საბაშვილი.

გამგეობის მიზანია: გახსნას საკვირაო სკოლა, დრო-და დრო მოაწყოს სახალხო ლექციები, უხელმძღვანელოს მახლობელ სოფლებში არსებულ სამვი თხველოებს და გახსნას ახალი სამვითხველოები. საამისო ნაბიჯი უკვე გადასდგა გამგეობამ საანგარიშო წელს: მთავრობასთან აღძრა შუამდგომლობა შესახებ საკვირაო სკოლის გახსნისა.

საანგარიშო წლის 15 ნოემბრიდან განყოფილება იწინაავეს ქართველ მაჰმადიანს ბავშვს-ბეჟან ბოლქვაძეს, რომელიც სწავლობს ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში; მისი მოვლა-შაფრონობა იკისრა ვანყ. ჩევრმა შელაგია ქარცივაძის ასულმა.

საანგარიშო წელს განყოფილებას ჰყავდა 156 წევრი.

შემოსავალი იყო 426 მან., გასავალი 59 მ., 1917 წლის I იანვრისათვის ნაშთი იყო 367 მან.

1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა განყოფილებას აქვს ნავარაუდევით შემოსავალი 900 მან., გასავალი ამდენივე.

ო რ ა მ რ ი რ ი ს -

გაიხსნა 1912 წ. ანგარიში არ წარმოუდგენია.

სამწერლის-

გაიხსნა 1909 წელს. გამგეობას შეადგენდნენ: მღვდ. სილიბისძრო ხუნდაძე/თავმჯდომარე/; მალაქია გიორ. ცოროშელიძე/თავმჯდ. ამხან./ რაჭდენ გიორგ. მიქაძე/მდივანი/; ანეცა ავალიანისა/ხაზინადარი/; კანდიდატები: ივანე კიჭბიძე, ვრიგ. ქრისტ. ურუშაძე, შავლე წულაია /თავი დაანება/, მიხ. აღეიშვილი. ამბავო ჭანელიძე და ამბავო ახოზაძე.

სარევიზიო კომისიაში არიან: ვლად. შაჰავა/თავი დაანება/, ლუკა დავითაია/ თავი დაანება/, ვალ. ხარეზავა, კოლია ვვერნაძე/თავი დაანება/ და ილარ. გეგია.

გამგეობასთან იყო საბავშვო კოლეჯი და სახალხო კითხვითა მომწყობი სექციები.

გამგეობას ჰქონდა 16 სხლომა. სხლომებს დაეხსრენ: ხუნდაძე I4-ჯერ, ავალიანისა-I2-, ცოროშელიძე-6-, წულაია-3-, ურუშაძე-I5-, კიბობიძე-II-, მიქაძე-I0-.

განყოფილებაში საანგარიშო წელს ითვლებოდა 208 წევრი.



განყოფილებას უქონდა 7 სამკითხველო.

საანგარიშო წლის შემოსავალი იყო 648 მ. 75 კ., ხოლო გასავალი 452 მ. 98 კ. 1917 წლის I იანვრისთვის ნაშთი იყო 195 მ. 77კ.

ს ა მ უ რ ზ ა ყ ა ნ ო ს -

დაარსდა 1916 წ. გამგეობაში იყვნენ: ივანე გეგია /თავმჯდომარე/, ევგენია ოქროპირიძე, მღვდ. სამსონ სვანიძე, მღვდ. ბარ. ხარებავა, და მღვდ. ი. გობერიანი შეფრე ჭარაია/მდივანი/.

განყოფილებას უყავდა 165 წევრი.

7 ანგარიში არ წარმოუდგენია.

ს ე ნ ა ვ ი ს -

დაარსდა 1909 წელს. გამგეობაში იყვნენ: ოლღა გიორის ასული ხოფერიასი /თავმჯდომარე/; მოსე მიხ. ბახტაძე/თავმჯდ. ამხანაგი/; მღვდ. გიორგი გამბარდია/მდივანი/; ნიკ. კონსტ. შონია/ხაზინადარი/; შოლიკარაშვილი ეხტ. ლორთქიფანიძე, მიხ. შავ. თათარიშვილი და ვასილ ვასილის ძე კანდელაკი.

სარევიზიო კომისიაში იყვნენ: გიორგი ლევანის ძე ქავთარაძე, შეფრე მიხეილის ძე ღვებუაძე და ბიქტორ მიხეილის ძე ხარბელია.

ამ შემადგენლობას გამგეობისას, რომელმაც მოქმედება I მ ივლისს დაიწყო, და წინანდელს უქონდა საანგარიშო წლის განმავლობაში I მ სხლომა/ 5 ძველს, II ახალს/, და გარჩიეს 80 საქმე. სხლომებს დაესწრენ: ხოფერიასი I6-ტერ, გამბარდია-I5-, ლორთქიფანიძე-9-, თათარიშვილი-I2-, მალნარაძე და ბახტაძე -4-, ჭვალუასი-I-, ჭიჭიხია-I, კანდელაკი-8, და შონია -9-,

საანგარიშო წლის განმავლობაში მოჰხდა ერთი საზოგადო კრება მ ივლისს, რომელზედაც განწილულ იქმნა წინა წლის ანგარიში და 1916 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, შემდეგ აირჩიეს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია, მიიღეს ახალი წევრები და სხ..

1916 წლის განმავლობაში განყოფილებაში ირიცხებოდა 244 წევრი.

გამგეობის მოქმედება საანგარიშო წელს შემდეგში გამოიხატა:

1. მოაწყო ბიბლიოთეკასთან კავშირი, სადაც სწარმოებს წიგნებით და სავანცელარიო ნივთებით ვაჭრობა იმ კრედიტით, რომელიც მთავარმა გამგეობამ გაუხსნა;
2. გახსნა სავკირაო სკოლა და, თუმცა იგი სცდილობდა ხალხი როგორმე მიეზიდა, მაგრამ მსურველთა რიცხვი ნაკლები იყო/10-15/;
3. მთავალყურს აღევნებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს;
4. გამართა სახალხო სეირნობა და საიუბილეო სალიტერატურო საღამო ნიკ. ბარათაშვილის პანკისვაიკმად, - რაბაყ განყოფილებას წმინდა შემოსავლად მისცა II 99 მ. 14 კ.;
5. შეიძინა ახალი წევრები ამათ რიცხვმა ერთი სამად იმავე;
6. ბიბლიოთეკის შენობის მოძველების გამო, სხვა ადგილობრივ საზოგადოებებთან შეთანხმებით, ახალი ბინა იქირავა დაბის შუაგულს, სადაც მოთავ-

სებულია მალაზია და სწარმოებს სხლომები.

განყოფილების გამგებლობაში არის I6 ბიბლიოთეკა: I.ახალ-სენაკში, რომელიც მთლად განყოფილების ხარჯით ინახება, აბაშის, აბეთლის, ბანძის, ეჭრის, ლეხაინდრავის, ნოქალაქევის, ნოსირის, ონფოთო შირველის, სეფიეთის, წყემის, კვაუთის, გეჭეთის, გაღმა-ზანათის, ონფოთო მეორის, ძველი სენაკის და ლეძამამესი. ეს სამი ფს-სამი უკანასკნელი გაიხსნა საანგარიშო წელს.

1916 წლის შემოსავალი იყო 2858 მ. 02კ., გასავალი 1099 მ. 44კ., ხოლო 1917 წლის I იანვრისთვის ნაშთი იყო 1258 მ. 58კ.

1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ასეთია: შემოსავალი 8558 მ. 58კ., გასავალი 2786 მან.

ს ო ხ უ მ ი ს -

დაარსდა 1909 წელს. გამგეობაში იყვნენ: ნიკო ყარამანის ძე თავდ-გირიძე/თავმჯდომარე/; ნინო ალექსის ასული თურქიასი /თავმჯდ. ამახანა გი/; დავით ქაიხოსროს ძე მეძმარბიშვილი ჯმღივანი/; ელიზბარ შეფრ. ვაჭარავა/ხაზინათარი/; ნ. ალიოზისა, ვასასი ფაფიშვილისა, ნალეულა ვაჭარავასი, ს. მახარაძისა, ანთ. ჭულელი, რაფიელ გოკიელი, გახუ თურქია, ნიკო ჩიქოვანი, იაკობე გეგელაშვილი, ვ. შერვაშიძე, ალ. გრიგოლია, სევას. შამიშვილი, ვ. მახარაძე, რაყდ. ვილურაძე, გიორგი შარაშიძე და ლავრენტი ესვანჯია.

სარევიზიო კომისიაში: კონია გიგინეიშვილი, იოსებ ვაბუნია და იუსტინე ჩიქოვანი.

განყოფილებასთან არის საამმენებლო კომისია, შემდეგ შირთავან: რაფ. იოს. გოკიელი, გახუ შეფრ. თურქია, ნიკო ჩიქოვანი და იაკობ-თე ლ. გეგელაშვილი ~~სადან~~.

გამგეობამ მოქმედება დაიწყო 28 ოქტომბრიდან და ჭქონდა საანგარიშ-ში წლის დამლევამდე 5 სხლომა, რომელმედაც განხილულ იქმნა 26 საქმე.

სხლომებს დაესწრენ: ნ. თავდგირიძე, ნ. ვაჭარავასი, ი. გეგელა-შვილი, ელ. ვაჭარავა, ლ. ესვანჯია და მეძმარბიშვილი - ჭერვე, ნ. თურქიასი, ვ. ფაფიშვილისა, ს. მახარაძისა და გ. შარაშიძე-4ჭერ, გოკიელი თურქია, ჩიქოვანი, ჭულელი, გრიგოლია, რამიშვილი, და ვილურ-რიძე 2-ჭერ, ნ. ალიოზისა და ვრ. მახარაძე I-ჭერ.

საანგარიშო წელს განყოფილებას ჭქონდა ერთი საზოგადო კრება და ერთი არაჩვეულებრივი.

განყოფილება შეძლებისამებრ ფხავ იჩენდა: მაისის შირველ რიცხვებ-ში გახსნა "ფინჯანი ჩი", რომელიც შესაფერ შემოსავალს იძლევა; გახს-ნა ქართულ სკოლასთან ომისაგან დაზარალებულთა ბავშვებისათვის 3 თავ-შესაფარი, სადაც მიღებულია 12 ბავშვი; გახსნა აგრეთვე ჭრა-კერვის განყოფილება ქალთათვის; გამგეობას აზრად ჭქონდა გაეხსნა ვაყებისა-

თვის ხელისაქმის განყოფილება და მოწყობა სავიროს სკოლისა, მანგრამ ცალკე მასწავლებლის უშოვნელობამ და ცალკე დამფუძიებებაში ინსპექციის მხრივ დახანება ხელი შეუშალა განყოფილებას გაეხსნა ერთი და მეორე

1916 წლის განმავლობაში შემოსავალი იყო 6528 მ.68კ., გასავალი 4882 მ.92კ., ხოლო 1917 წლის I იანვრისათვის ნაშთი 1645 მ.76კ.

1917 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ასეთია: შემოსავალი 8407 მ. 76კ., გასავალი კი ნავარაუდევია 6807 მ.76კ.

საანგარიშო წელს განყოფილებას ჰყავდა 724 წევრი.

ს მ რ ი ს -

დაარსდა 1914 წელს. გამგეობის შემადგენლობა: ნ.ვ. ლორთქიფანიძე /თავმჯდომარე- და სანინაძარი/; შ.პ. ჯანაშია /მდივანი/; ბ.ვ. ხომცა- რია, ზ. ან. მელია, ნ.მ. ნემსაძე, ი.ნ. ჭელიძე, გ.რ. ჭიშაძე, ს.ა. ქეშელაშვილი, ფ.ბ. ყვანია და ა.გ. მამარლაშვილი.

სარევიზიო კომისიაში საანგარიშო წელს იყვნენ: ვ.ვ. ქეშელაშვილი და ლ.ბ. სიჭინავა.

განყოფილებას ნამდვილი წევრი ჰყავდა 40.

საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილებამ გახსნა ერთი უცხო საშვიტხველო.

დანარჩენი ცნობები მთავარ გამგეობას არ მიუღია.

ფ უ ა შ ს ი ს -

გაიხსნა 1918 წელს. განყოფილებას ჰყავს 77 წევრი.

ანგარიში არ წარმოუდგენია.


ფ ო თ ი ს -

დაარსდა 1910 წელს. გამგეობაში იყვნენ: ნიკო იაკობის ძე ნიკოლო- ძე/თავმჯდომარე/; ანდრია ლევ. ქავთარაძე/თავმჯდომარის ამხანაგი/; მღვდ. ლავრენტი წულაძე/მდივანი/; იოსებ ივ. კობრეიძე/ხანინაძარი/; ნიკ. ერმალოს ძე კვინიკაძე, ვლადიმერ იესეს ძე ვაგუა; ლევ. მელიტონ კელენჭერიძე /26 სექტემბრიდან თავმჯდ. ამხ./, გიორგი მინას ძე აბაში- ძე, იასონ ალექსიშვილი, მიხ. ვალია, თაღეოზ კეშელაშვილი, 26 სექტემბერს გამგეობის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვალაქციონ აბეს. ფყემალაძე, ხოლო წევრებად შევიდნენ: ვლად. მალ. ჭაფარიძე, ვარლენ მაქსიმეს ძე ჩხაიძე, ვლად. ბეს. ხომცა- რია, ნოე აღმახს. ყლენცი და ბეგლარ იესეს ძე მამალაძე.

სარევიზიო კომისიაში შედიან: ალექსანდრე ივანეს ძე მდივანი, პეტრე იორდანის ძე ქუთათელაძე და მიხ. ბესარიონის ძე ესავია.

ძველსა და ახალ გამგეობას ჰქონდა 7 სხდომა, რომელშიდაც განიხილეს 26 საქმე.

სხდომებს დაესწრენ ძველი გამგეობიდან: ნიკოლოძე, კელენჭერიძე, წულაძე, კვინიკაძე, ვაგუა და კობრეიძე 4-ჯერ. არც ერთს არ დასწრე-



ბიან: ქავთარაძე, ვეშელავა, გვალია, ალექსიძვილი და აბაშიძე. ახალ გამგეობიდან ლევ. კელენჯერიძე, ჭაფარიძე, ჟღენცი და მამალაძე არ დასწრებიან ორ სხდომას; ღყემალაძე, ჩხაიძე და ხომჭარია ერთს.

საანგარიშო წელს განყოფილებას ჰქონდაერთი საზოგადო ვრება 26 სექტემბერს, რომელზედაც განხილულ და დამტკიცებულ იქმნა ანგარიში 1914 და 1915 წლებისა და შემდეგ არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა.

განყოფილების წევროა რიცხვი 202-ია.

მოქმედება გამგეობისა შემდეგში გამოიხატა: ა/ განაახლა სწავლა ნაბალას შირველ-დაწყებით სკოლაში, სადა; დროებით, ომით გამოჩვეულ შიშიანობის გამო, მეცალინეობა შეწყვეტილი იყო; ბ/ ქართველ მაშხადაიანს მერაჯან ბოლქვაძეს 12 წლისას დაენიშნა სტიპენდია, თვეში 10 მან. სკოლისთვის მოსამზადებლად, ხოლო დანარჩენი ხარჯი იმის აღზრდა-შენახვისა თავ იღო ეპისკოპოსმა ლეონიდემ; გ/ შეიძინა სახალხო სახლისა და სკოლისათვის ორი ნაჭერი მიწა, მავრამ უჩვეულო სიძვირისა და მუშა ხელის უშოვნელობის გამო შენობები სახალხო სახლისა და სკოლისათვის ვერ ააგო.

განყოფილებას სკოლის გარდა ჰქონდა ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო. საანგარიშო წლის შემოსავალ-გასავალი ასეთი იყო: შემოსავალი წინა წლის ნაშთით 10578.06კ., დაიხარჯა 997 მ.68კ., ხოლო 1917 წლის I იანვრისათვის ნაშთი იყო 59 მ.48კ.

ქ ვ ე მ ო - მ ა რ ხ ა ა ნ ი ს -

დაარსდა 1912 წელს. ანგარიში არ ჩარმოუდგენია.

ქ უ თ ა ი ს ი ს -


დაარსდა 1909 წელს. განყოფილებას ჰყავდა 426 წევრი. ანგარიში არ ჩარმოუდგენია.

ყ ვ ი რ ი ლ ი ს / ზესტაუნის / -

დაარსდა 1909 წელს. გამგეობაში იყვნენ: ვნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა/თავმჯდომარე/; მიხეილ სიხარულიძე/თავმჯდ.ამხ./, შავლე შეჭრეველი/მდივანი/; შლ. ვიკნაველიძე/მოლარე/, ხოლო წევრებად: იორდანე გოცაძე, ვანო საყვარელიძე, მელ. გაჩეჩილაძე, გეს. კელენჯერიძე. სარევიზიო კომისიაში ითვლებოდნენ: სამსონ მამალაძე, გელევან გველესიანი და მიხ. ჩუბინიძე. გამგეობას ჰყავს დამხმარე კომისია თეატრის ფონდის გასამლიერებლად: ქ-ნი ციციშვილი, რევ. გელევანიძვილი-ლი და ვლად. ჩხიძე.

განყოფილება განაგებს 10 სამკითხველოს: ხარაგაულის, ძირულის, ღორუმის, იღუმის, საქარის, მუხურის, ჩხარის, საშანის, წევის და ყვირილის.

შემოსავალი 1916 წელს ჰქონდა 4245 მ.56კ., გასავალი 10768.75კ.



სხლომა ჰქონდა II-ჯერ.

რ მ ხ ა ფ ა უ რ ი ს -

დაარსდა 1916 წ. გამგეობაში იყვნენ: ალ. ჭურაძე/თავმჯდომარე/  
ა. ცინცაძე, ვალ. ჭანჭურია, ვ. ყლენგი და ილ. შარაშიძე.  
ანგარიში არ წარმოუდგენია.

ი ხ ი ნ ვ ა ლ ი ს -

დაარსდა 1914 წელს. გამგეობის წევრთა უმეფესობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო თავმჯდომარე აღარ ითვლებოდნენ გამგეობაში გარდა თავმჯდომარის ამხანაგისა- ლევანოზ იროლიონ ოქროშირიძისა. თავმჯდომარედ იყო ვ. დავითაშვილი, მდივანად ზაზინაძედ არ. ლეღანაშვილი, წევრებად: ი. გოგინაშვილი, ვრ. შათირიშვილი და მიხ. კობალაძე.

სარევიზიო კომისიაში იყვნენ: ივ. ორჭონიკიძე, ნიკ. ჭონიშვილი, ლაშ. კვინიკაძე.

სხლომა გამგეობას ჰქონდა 4-ჯერ.

წევრთა რიცხვი 100 იყო.

შემოსავალი იყო წლის განმავლობაში 6 მან.55 კ. ?

ს ი ღ ნ ა ლ ი ს -

დაარსდა 1912 წელს. შემადგენლობა გამგეობისა ასეთი იყო: ნიკ. ალექსანდრეს ძე ჯანდიერი/თავმჯდომარე/; კონსტან. იესეს ძე ფყავაძე/თავმჯდომარის ამხ./; გიორგი დაფქვიაშვილი/მდივანი/; გიორგი ალ. ჭანიშვილი/ზაზინაძარი/; ნიკოლოზ ლაშ. ჭურიაშვილი, ნიკ. ლიმიფრ. ყაზბეგი, ზაქ. ლუკას ძე მოსულიშვილი, ივანე ლიმიფრ. ქიციშვილი და მათე გიორვის ძე ახმეფელაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად საანგარიშო წელს იყვნენ: ილია შეფრეს ძე სარაქიშვილი, რომან ბართლომეს ძე ხუციშვილი და დავით ნიკოლოზის ძე მირიანაშვილი.


გამგეობას საანგარიშო წლის განმავლობაში ჰქონდა 9 სხლომა და გარჩია 32 საქმე. სხლომებს დაესწრენ: ჯანდიერი, ფყავაძე და ჭანიშვილი 8-ჯერ, დაფქვიაშვილი 9-ჯერ, ჭურიაშვილი და ყაზბეგი 6-ჯერ, მოსულიშვილი-2ჯერ, ქიციაშვილი და ახმეფელაშვილი ორჯერ.

1916 წლის განმავლობაში მოჰხდა ერთი საზოგადო კრება წინა წლის /1915/ ანგარიშის განსახილველად და 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესაღვენად.

განყოფილებასთან არსებობს სამი კომისია: სასკოლო, რომელიც განაგებს სკოლის საქმეებს, წიგნის მაღაზიის გამგე კომისია მეთვალყურით და აღმინისტრაფიული კომისია.

განყოფილებას აქვს ერთი სკოლა, ერთი სამკითხველო და ერთიც წიგნის მაღაზია.

წიგნის მაღაზიას საანგარიშო წელს ჰქონდა: შემოსავალი 8957 მ. 6/5.



გასავალი 8928 მან. 233. ზღებ-მიჯემის საქმე ასეთი იყო: მალაზიაში შემოვიდა წინა წლიდან დარჩენილ საქონლით მთლად 10501 მ.მვ. ღირე-ბულების საქონელი, წლის განმავლობაში გაიყიდა 7008 მ.543. საქონელი, ხოლო 1917 წლის I იანვრისთვის დარჩა 3497 მ. 723. საქონელი.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობამ იზრუნა სკოლის გაფართოვებაზე და ამ მიზნით მოუმატა მესამე განყოფილება და აქვს გან ზრახვად 1917 წელს გახსნას მეოთხე განყოფილება.

ამ განყოფილების მაგნიანეში აღსანიშნავია ისიც, რომ ნინო და ელისაბედ ანდრონიკაშვილებს განუცხადებიათ სურვილი თავიანთ უძრავი მამული შესწირონ განყოფილებას.

1916 წელს განყოფილებას ჰყავდა 180 წევრი.

საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილებას შემოსავალი ჰქონდა 8800 მ.მვ., გასავალი 25998.543., ხოლო 1917 წლის I იანვრისათვის ნაშთი იყო 1200 მ.783.

ჭ ი ა თ უ რ ი ს -

დაარსდა 1909 წელს. გამგეობის შემადგენლობა ასეთი იყო: სიმონ დავითის ძე ჭაფარიძე/თავმჯდომარე/; ივ. მიხ. გომელაური/თავმჯდ.ამხან./, ნიკ. მაქ. წუწუნავა/მდივანი/; ირაკლი გრიგ. დევანოზიშვილი/ხაზინაღარი/; შარმენ ვიფოს ძე ჭანაშვილი.

სარევიზიო კომისიაში იყვნენ: სვერიან სპირიდონის ძე ჩიქოვანი, აღექსანდრე ვლადიმერის ძე წერეთელი და ილია ჭურაბის ძე აბაშიძე/+/.


გამგეობას საანგარიშო წლის განმავლობაში ჰქონდა 12 სხდომა და გარჩია 51 საქმე.

გამგეობიდან დაესწრენ: ჭაფარიძე II-ჯერ; ჭანაშვილი 10-ჯერ, ხოლო ირ. დევანოზიშვილი და ნიკ. წუწუნავა დაესწრენ ყველა სხდომას.

განყოფილებაში ითვლებოდა 94 ნამდვილი წევრი.

საანგარიშო წელს გამგეობის მიზანი იყო გაეხსნა წიგნის მალაზია და ხელი შეეწყოს სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნისათვის მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძვრით. გამგეობამ მართლაც გახსნა წიგნის მალაზია და დღით-დღე აფართოვებს მის სავაჭრო ოპერაციებს, მიუხედავად იმით გამოწვეულ შემაფერხებელ პირობებისა. რაც შეეხება ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, გამგეობის მეცადინეობით იგზნა დაარსდნენ შემდეგ სოფლებში: სკინდორსა, შერევესა, ჭილოვანსა და ვაცხში.

ასე რომ ჭიათურის განყოფილებას ძველად გახსნილ ორ სამკითხველოს მითვისდა საანგარიშო წელს ჰქონდა სულ 6 წიგნთსაცავ-სამკითხველო. გარდა ამისა, განყოფილებას აქვს განზრახვად ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს არსებულ სამკითხველოებს, რათა მისი გავლენა და მნიშვნელობა უფრო ფაქტობრივად დასაბუთდეს, და სასარგებლო იყოს, აგრეთვე აზრად აქვს დაეხმაროს ქალ-



თა სსპროფესიო სასწავლებელს, რომლის დაარსება ~~ჩ~~იათურაში განუზრახავს ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ~~ჩ~~იათურის განყოფილებას, და ამ მიზნით სვლილობს რაც შეიძლება მალე გაანადღოს ის თამასუქები, რომელნიც ~~ჩ~~იათურის შავი ქვის საბჭომ ვალდაცა განყოფილებას თავის სახსრის გასაძლიერებლად. ამ მხრივ განყოფილებამ საანგარიშო წელს გაანადღა მ ათასი მანეთის თამასუქები.

განყოფილების ტონებრივი მდგომარეობა საანგარიშო წელს შემდეგი იყო: შემოსავალი იყო 832 მ. I მ. I მ. I მ., გასავალი 578 მ. I მ. I მ., ხოლო 1917 წ- I იანვრისათვის ნაშთი იყო 254 მ. გვ.

ხ ა შ მ ი ს -

დაარსდა 1916 წ. გამგეობაში იყვნენ: იოსებ იმელაშვილი /თავმჯდ./, მღვ. ი. ხაბაშიშვილი, დავ. ნახუცრიშვილი, ალ. ჩოკრაშვილი და დავ. ბუკავაშვილი. ანგარიში არ წარმოუდგენია.

ხ ა შ უ რ ი ს -

დაარსდა 1916 წ. გამგეობაში იყვნენ: ალ. ბ. მღივანი/თავმჯდომარე/, ნიკ. ივ. სიხარულიძე, ვირ. ნინიძე, ლეონტი მეჭრეველი და კონსტ. ბელაძე. ანგარიში არ წარმოუდგენია.

ხ ი დ ი ს თ ა ვ ი ს -

გაიხსნა 1913 წელს. ანგარიში არ წარმოუდგენია.

ხ ო ნ ი ს -

დაარსდა 1909 წელს. საანგარიშო წელს გამგეობაში იყვნენ: მათე ვახილის ძე ბახტაძე/თავმჯდომარე/; შოლიკარაძე ივ. ჩხიკვიშვილი/თავმ. ამხანაგი/; ალექსანდრე თომას ძე ბაქრაძე/მღივანი/; ივანე ივ. ქუთათელაძე/ხაზინადარი/; ევანდ. ვას. ბახტაძისა, ვალ. მერაბაძე მებუკე, მ.დ. ჭელიძე, კონსტანტინე შეჭრეს ძე უგულავა/27 ლეკეშპრიდან./


სარევიზიო კომისიის წევრებად იყვნენ: ემელიანე ივანეს ძე ცაგარეიშვილი, ვლადიმერ თომას ძე მაჭარაძე და ანდრია დავითის ძე ბახტაძე. გამგეობას საანგარიშო წლის განმავლობაში ჰქონდა 26 სხდომა და გაარჩია 56 საქმე.

სხდომებს დაესწრენ: მ.ვ. ბახტაძე 26-ჯერ, მაჭარაძე -24-ჯერ, ქუთათელაძე და ევ. ბახტაძე-22-, ჭელიძე-16-, მებუკე-15-,

განყოფილებას ჰქონდა ერთი საშოგადო კრება, რომელმდღაც განხილული და დამტკიცებული იქმნა წინა წლის /1915/ ანგარიში და 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; გარდა ამისა ამავე კრებაზე მოხდა გამგეობის ერთი წევრის არჩევა და მიიღეს 100 ახალი წევრი.

საანგარიშო წელს განყოფილებას ჰყავდა 140 წევრი.

გამგეობამ 1916 წელს საკმარისი სიცხოველე გამოიჩინა: I. მოაჩყო 18 კიოხვა და 2 ლექცია, რომელშიაც მონაწილეობდნენ: ივ. რუხაძე, ვ.



უგულავა, ირაკლი ბერძნიშვილი, ემ. ცაგარეიშვილი და ექიმები: პ.  
 ჩხივიძევილი და მ. ბახტაძე. უკანასკნელმა წაიკითხა ორი ლექცია ვადამ-  
 დებ სნუეულებებსა და ზღუქზე; 2. ხონის საკრებულო ფაბრიკან/სახსრავ-  
 ლებლის შენობაში გახსნა საკვირაო სკოლა, სადაც მცადინეობდნენ ად-  
 გილობრივი მასწავლებლები; მ. მოაჩყო სალიტერატურო სადამო აკადემიის  
 რეთორის ხსოვნის აღსანიშნავად, რომლის წმინდა მოგება გადაეცა აკადემი-  
 სეულ ფონდის გასაძლიერებლად საინფორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას,  
 ერთი სახალხო სეირნობა და საცეკვაო სადამო. აქედან აღებული ფული მოხ-  
 მარდა განყოფილების ქონებრივ გაუმჯობესებას; 4. ზრუნავდა სამკითხვე-  
 ლების გახსნაზე და არსებულ სამკითხველოების გაუმჯობესებაზე; ამ მიზ-  
 ნით გამგეობამ მრჩავი კიდევ თავის რაიონის სამკითხველოთა წარმომად-  
 გენლები, რომ აზრთა ვაზიარებით სამკითხველოების საკრებულებანი უფრო  
 ნათელ ეყო და ამისდამიხედვით უფრო მიზანმეწონით აღმოეჩინა დახმარე-  
 ბა, მწიგნობრივი თუ ქონებრივი ამ დაწესებულებათათვის. 5. ზრუნავდა წევრ-  
 თა გამრავლებაზე: საანგარიშო წელს შეიძინა 100 ახალი წევრი და 6. ზრ-  
 დის თავის ხარჯით ქართველ მაშადიან ბავშვს- ჰუსეინ ხარაძეს- ხონის  
 საოსტატო სემინარიასთან არსებულ ორულასიან სასწავლებელში; მისი აღზრ-  
 და-შენახვის ხარჯი იკისრეს თავმჯდომარემ მ. ბახტაძემ და მისმა ამ-  
 ხანაგმა პ. ჩხივიძევილმა.

განყოფილების ქონებრივი სახე ასეთი იყო: შემოსავალი ჰქონდა  
 598 მ.07კ., გასავალი 3998.84კ., ხოლო 1917 წლის I იანვრისთვის ნაშთი  
 იყო 198 მ.73კ.

1917 წ. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდები აქვს ასე: შემოსავალი 796 მ.  
 09 კ., გასავალი 786 მ.80კ., ნაშთი 9 მან. 79 კ.

საანგარიშო წელს განყოფილებას ჰქონდა 6 წიგნთ-საცავ-სამკითხველო:  
 ხონის, მათხოჯის, გორდის, ნაოლაღევის, ნახუნაოს და საღბინოსი.







ს ვ ო ლ ე ბ ი .

სახსოლო სექციის მოქმედების ანგარიში 1916 წ.


მესამე წელიწადია, რაც სახსოლო სექცია ახლანდელის შემადგენლობით მოქმედებს. სექციას შეადგენენ: ლ. მოცვაძე /თავმჯღომარე გამგეობის ხელმძღვანელი/, ი. ი. ზურაბიშვილი /თავმჯღომარის ამხანაგი/, ა. ნ. მიქაბერიძე, ს. იაშვილი, გივო ნათაძე, გერასიმე იმნაიშვილი და სკოლების მეთვალყურე გრიგოლ ბურჭულაძე.

საანგარიშო წლის განმავლობაში სექციას ჰქონდა 35 სხდომა, გაარჩია 178 საქმე. სექციის სხდომას დაესწრო: ლ. მოცვაძე 31 ჯერ; ვ. იმნაიშვილი 24 ჯერ, ვრ. ბურჭულაძე 28 ჯერ, ვ. ნათაძე 16 ჯერ, ს. იაშვილი 16 ჯერ, ა. მიქაბერიძე 5 ჯერ, ი. ზურაბიშვილი 3 ჯერ.

სკოლების მეთვალყურე საანგარიშო წელს დაათვალიერა წ. ვ. ვ. საშოგავაძის ყველა სკოლა, ზოგი ორჯერ და სამჯერაც. დათვალიერების შედეგად ყოველთვის მოხსენდებოდა ხოლმე სექციის, რომელიც თავის დასკვნას აღმოქმედებდა ამ თუ იმ საკითხის შესახებ წარუდგენდა ხოლმე გამგეობას დასამტკიცებლად და სათანადო განკარგულების მოსახდენად.

სახსოლო სექციის განკარგულებაში 1916 წ. გადაღებული იყო 13,767 მან. საქედან მასწავლებლების ჯამაგირძე და სკოლების სხვა და სხვა საქაროებაზე დაიხარჯა 16,419 მან. 46, ხარჯი და დაიხარჯა 2702 მან. 746.

საანგარიშო წლის განმავლობაში სექციის შეამდგომლობით გამგეობამ გახსნა 3 ახალი სკოლა: 1/ წერაქვში, ბორჩალოს მაზრა/, 2/ მოიდანახეში /ზუგდიდის მაზრა/, 3/ გულაუთში. გამგეობას მიღებული ჰქონდა ნებართვა თანამალოში /საინვილო/ სკოლის დაარსებისა, შეიძინა ვიდევაც სახსოლო ხელსაწყოები, და ბინაც დაიქირავა, მასწავლებელიც დანიშნა, მავრამ აღვიღო მრავალი სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებისა გამო სკოლამ მოქმედება ვერ დაიწყო. ნებართვა ჰქონდა აგრეთვე ვალში, სამურზაყანო /სკოლის დაარსებისა, მავრამ დღემდე არც ჩხენებულ სკოლას დაუწყია მოქმედება, რადგან ქუთაისის განყოფილებამ, რომელსაც დაპირებისამებრ უნდა ეკისრნა ამ სკოლის შენახვა თავის საკუთარი საშვადებით უარი განაცხადა ამის მიერ გამოწვეულ მიზეზების გამო და დროებით შეაჩერა სკოლის მოქმედების დაწყება.



I. აკურთის სკოლა - დაარსებულია 1914 წელს, მაგრამ სწავლა დასაწყისში წლის განმავლობაში სისხტემატიურად არ ყოფილა, რადგან მასწავლებლებს ჯარში იწვევდნენ და მეორე მასწავლებლის გამოწახვა დანიშვნამდე სკოლაში მეცადინეობა უნებურად სწყდებოდა. როცა ფრიდონ შუბლაძე, პირველად გამწესებული ამ სკოლაში, ჯარში გაიწვიეს, სწავლა სკოლაში შესწყდა. საზოგადოებამ 1915 წლ. ნოემბერში დაინიშნა ბაგრატ ბეთანელი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ იგიც სამხედრო ბევრის მოსახლელად დაიბარეს. ამიწმომ სწავლა ხელმეორედ შესწყდა, ვიდრე 1916 წ. თებერვალში დაინიშნებოდა ბეთანელის მოადგილედ - ივანე კვარაცხელია, რომელიც ფაქტიურად ორ თვე ნახევარს მასწავლებლობდა. შემდეგ დაინიშნა ლორთქიფანიძე, რომელმაც იანვრის 1916 წ. გასულს სამსახურს თავი დაანება.

სკოლაში სწავლობდა 30 მოწაფე, აქედან I-ში -18 დანარჩენი II-II-ში სკოლაზე დაიხარჯა -482 მ. და 20 კ.

2. აფენის სკოლა - დაარსდა 1912 წელს სოფ. აფენში/გორის მაზრა/. სკოლის შენობაში ოთხი ოთახისაგან შესდგება და შიგ მოთავსებულია სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველო და მასწავლებლის ბინა. დღიდან სკოლის ვახსნისა შენობა არ შეკეთებულა და დღეს თხოულობს ჯეროვან შეკეთებას, როგორც კლასის, აგრეთვე სხვა ოთახებისას. სამღვთო სკულისა და სხვა საგნების მასწავლებლად ამ სკოლაში არის ლავრენტი ბარნაბაშვილი, რომელიც ადგილობრივ უკვე სამი წელიწადია რაც მასწავლებლობს, ხოლო წინად კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლაში მასწავლებლობდა. ბარნაბაშვილს სწავლა აქვს მიღებული თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის მეორე კლასიდან არის გამოსული, ხოლო შემდეგ აქვს მიღებული სათანადო მოწმობა მასწავლებლობისა. 12 წლის მასწავლებლობა საკმარისი საბუთია მისი გამოცდილება-დახელოვნებისა სწავლა-აღზრდის საქმეში. ჰამაგირად მას ეძლევა 648 მანეთი, ბინის ქირისა კი ცალკე არ ეძლევა, რადგანაც ის სცხოვრობს სასკოლო შენობაში სკოლის /კლასის/ გვერდით. სკოლაში სამი განყოფილებაა. შევირლობა წინანდელ სამოსწავლო წელს ასე იყო განაწილებული: პირველ განყოფილებაში ითვლებოდა 16, 2-ში 7, ხოლო III-ში 6, სულ სამივეში იყო 29 შევირდი. სამოსწავლო წლის დამდეგს სკოლაში იყო 39 შევირდი, მაგრამ წლის განმავლობაში დაავლდა 10 შევირდი ოჯახური მდგომარეობისა და უგზობის გამო, ამათში 4 პირველ განყოფილებიდან, 2-მეორიდან და 3-მესამეიდან. ასე რომ საანგარიშო წლის დამდეგს დარჩენილი 29 შევირდი ასე იყვნენ განაწილებულნი განყოფილებათა შორის: პირველში იყო 18, მეორეში-10, მესამეში -1. ამათში შემდეგ განყოფილებაში გადავიდნენ: პირველ განყოფილებიდან 14, მეორედან 8, დამთავრა ერთმა, ხოლო 6 შევირდი დარჩა: 4 პირველ განყოფილებაში და 2 მეორეში. მდგომარეობა სკოლაში სწავლა დამთავრებულ ბავშვს არ ვაუგრძელებია სწავლა სხვა სასწავლებელში: იგი დარჩა

თავის სოფელშივე და მშობლებს ეშველება მუშაობაში. სკოლაში საანგარი-  
 ში 1915-16 სამოსწავლო წელს სწავლა დაიწყო I ენკენისთვის და შესწყდა  
 17 მაისს, წლის განმავლობაში სწავლა სწარმოებდა სულ 180 დღეს. გაჭირ-  
 ვებული ყოფა გლეხის ოჯახისა განსაკუთრებით ამ ომიანობის დროს, სოფელ-  
 ში მუშა ხელის შემცირება და ხშირად უშოვნელობაც, უგზოობა და უამინდო-  
 ბა ყველა ეს გარემოებანი ძალიან უშლიდნენ ხელს ბავშვებს გულმოდგინედ  
 სწავლასა და სკოლაში გამოუკვლავლივ სიარულს. ამ მიზეზთა გამო შეგირ-  
 დები ძალიან ხშირად აკლდებოდნენ ვაკვეთილებს. მოსწავლეები ~~სარწმუნო-~~  
~~ბის მხრივ~~ არიან მართლმადიდებელთა ~~სარწმუნოებისა~~, ეროვნების მიხედვით  
 კი ქართველები. წლოვანებით ბავშვები გარდა ერთისა, რომელი 15 წელს  
 არის მიხწეული, ყველანი სულ ათ წლისაზე ნაკლებნი არიან. სკოლა წიგნთ-  
 ნივთების მხრივ ღარიბად უნდა ჩაითვალოს. სასწავლო წიგნების გარდა  
 გარეშე საკითხავად შევირდებს ჰქონდათ მარტო "ჭეჭილი" და "ნაკადული"  
 ისიც წინა წელს შეძენილი, საანგარიშო წელს კი სკოლას არა შემადგებია-  
 რა. მასწავლებლის აზრით, სკოლას ესაჭიროება: გლობუსი, კედლის საათი,  
 საქართველოს დიდი რუკა და სურათები სამეურნეო დარგიდან. სკოლაში გარ-  
 და ჩვეულებრივ საგნებისა მასწავლებელი ასწავლიდა ბავშვებს სიმღერას  
 და აგრეთვე მოაწყო სალიტერატურო დღეა. სკოლა დათვალიერა მეთვალყუ-  
 რემ. საანგარიშო წელს წ. ვ. საზოგადოებამ ამ სკოლაზე დახარჯა  
 715 მ. და 15 კაპ.

მ. ბათუმის სკოლა- დაარსდა 1881 წელს ქ. ბათუმში და ინახება ჩვენი  
 საზოგადოების ბათუმის განყოფილების ხარჯით. ამ სკოლას აქვს თავის  
 საკუთარი შენობა, მაგრამ ომიანობის გამო იგი მოთავსებულია დაქირავე-  
 ბულ შენობაში, რომელიც განგებ სკოლისათვის არ არის აშენებული და ამი-  
 სათვის სკოლისთვის შესაფერი და დამამკმაყოფილებელი არ არის. შენობა,  
 სადაც დროებით მოთავსებულია ბათუმის სკოლა, ორსართულიანია: ქვედა  
 სართული კერძო მოპინადრეზეა გაქირავებული, ხოლო სკოლა მოთავსებულია  
 ზემო სართულში, იქვეა მოთავსებული ერთი მასწავლებელი, მეორე კი კერ-  
 ძო ბინაზე სცხოვრობს და იხდის თვიურად 30 მანეთს. სკოლის შენობა შეი-  
 ცავს ოთხ ოთახს. კლასები ვიწროა და ორი კლასისათვის ოთახიც აკლია.  
 ამ სკოლას ჰყავს ორი მასწავლებელი: ალექსანდრე მგელაძე, რომელიც მეო-  
 რე განყოფილებასთან შეცადინეობს, და მარიამ ლომინაძე, რომელიც შირ-  
 ველ განყოფილებას ასწავლის. სამღვთო სტულისთვის საგანგებო მასწავლებე-  
 ლი სკოლას ცალკე მოწვეული არა ჰყავს და ამ საგანში თვითონ მასწავლებე-  
 ლები შეცადინეობენ. ალექსანდრე მგელაძეს სწავლა აქვს დამთავრებული  
 გორის საოსტაფო სემინარიაში და ჩვენს სკოლაში მე 12 წელიწადია რაც  
 მსახურებს, წინად კი 1885 წლიდან სამინისტრო სკოლებში. მეორე მასწავ-  
 ლებელმა- მარიამ ლომინაძემ სწავლა მიიღო ბათუმის ქალთა გიმნაზიაში და

მასწავლებლობს წვენს სკოლაში მეოთხე წელიწადია, წინად ვი ვერძო გა-  
კვეთილებს აძლევდა. ორივეს თვიურად ეძლევათ ასი მანეთი. რაც შეეხება  
ბინის ქირა მარიამ ლომინაძეს, რომელიც ვერძო ბინაზე სცხოვრობს ცალკე  
არ ეძლევა.

წინანდელ სამოსწავლო წელს სკოლაში ითვლებოდა 44 შეგირდი, საანგარი-  
შო წელს სწავლის დაწყებისას გამოცხადდა 40 ბავშვი, წლის განმავლობაში  
დააკვდა 10 შეგირდი იმ მიზეზის გამო, რომ მშობლები ბათობიდან გადასახლ  
დნენ. სამოსწავლო წლის დამთავრებულ დარჩენილ ბავშვებში 32 გადავიდა  
შემდეგ განყოფილებაში, ხოლო 8 დარჩა იმავე განყოფილებაში. სკოლაში  
სწავლა დაიწყო 15 სექტემბერს და შესწყდა 29 მაისს. სწავლა სწარმოებდა  
172 ღღეს. გაკვეთილებს დააკვდა 44 შეგირდი, სულ 1808 გაკვეთილი გამო-  
უშვიათ. მიზეზად ამისა მასწავლებლები ახახელებენ ციებ-ცხელებით ავად-  
მყოფობას ბავშვებისას და მშობლების დაუდევრობას. სარწმუნოების მხრივ  
ბავშვები ასე იყვნენ განაწილებულნი: ქრისტიანები იყვნენ 25, ხოლო  
მასჰადიანი 9; ეროვნების მხრივ ვი ერთი იყო რუსი, დანარჩენი 43 ბავ-  
შვი ვი სულ ქართველები არიან. წლოვანების მხრივ ყველა მოსწავლენი  
7-10 წლისანი არიან. შეგირდები სწავლის ფულს არ იხდიან. სკოლას წინა  
წელს ჰქონდა 118 სახელმძღვანელო, 2069 გარეშე საკითხავი წიგნები,  
224 წიგნი მასწავლებელთათვის და 177 სამოსწავლო ნივთი. საანგარიშო  
წელს ახალი არა შეჰმატებია-რა. სხვა საკანთა შორის სკოლაში ახწავლიდ-  
ნენ გალობასაც.

ბათობის სკოლას საზოგადოებამ მისცა დახმარება 345 მანეთი.

4. ბაქოს სკოლა- დაარსდა ქ. ბაქოში 1909 წ. იქ მოსახლე ქართვე-  
ლობისთვის ადგილობრივ განყოფილების საფასით. სკოლას აქვს საკუთარი  
და ჰიგიენურად მოწყობილი შენობა, სადაც, სკოლის გარდა, მოთავსებულია  
დრამატული კომიტეტი, მისი გარდერობი; ბიბლიოთეკა, განყოფილების კან-  
ცელარია და დარაჯის ბინა. შენობა შეიცავს რვა ოთახს და ოთხ-ოთხ-  
ხიანს ჩინებულს სარდაფს. სკოლა ოთხ განყოფილებაშია, თითო განყოფილე-  
ბას ჰყავს საკუთარი მასწავლებელი. მასწავლებლები კვლავანდებური გულ-  
მოდგინეობით, სიყვარულით და ხალისიანობით ეკიდებიან ნაკისრს საქმეს,  
რის გამო ბაქოს სკოლა საზოგადოების ერთ სამაგალითო სკოლად არის მისა-  
ჩნევი. სკოლასთან საანგარიშო წლის ეხვენისთვის და დაარსდა ომისაგან  
დამარაღებულია შვილებისათვის თავშესაფარი, რომელშიც მოთავსებულია  
7 ღღოღვილი.

5. ზორბალოს სკოლა- დაარსდა 1914 წელს, სოფ. ზორბალოში /თბილისის  
მაზრა/. იგი მოთავსებულია ვერძო ნაქირავებ შენობაში, რომელიც შეიცავს  
ერთად-ერთ ოთახს, სადაც არის მოთავსებული კლასი. სამღვთო სკულს ახწავ-  
ლის თვითონ მასწავლებელი ქალი ივლიტე კოჭეციშვილი, რომელსაც სწავლა  
აქვს დახრულებული თბილისის ღღაბთა საეპარქიო სასწავლებელში. მხოლოდ


პირველი წელიწადი, რაც კოფეციშვილი მასწავლებლობს ჩვენს სკოლაში. საცხოვრებლად მას აქვს ბინა ნაქირავეები ცალკე, რადგან ის შენობა, სადაც სკოლაა მოთავსებული, როგორც აღვნიშნეთ, შეიცავს მხოლოდ ერთს ოთახს, ბინის ქირა საზოგადოებისაგან არ ეძლევა, ჯამაგირად კი აქვს 720 მანეთი.

სამოსწავლო წლის დასაწყისს იყო სულ 48 შეგირდი, მაგრამ საანგარიშო წლის განმავლობაში ოჯახურ მდგომარეობისა და ავადმყოფობის გამო გამოაკლ და 22 შეგირდი., ასე რომ წლის დასასრულ დარჩა 26 მოწაფე. ამითი II მოწაფე გადავიდა პირველ განყოფილებიდან მეორეში, ხოლო 8 მოწაფე-მეორედან მესამეში იქმნა გადაყვანილი, 2 მოწაფე კი დარჩა პირველ განყოფილებაში. სწავლა დაიწყო 10 სექტემბერს და დასრულდა 28 მაისს, ასე რომ სწავლა სწარმოებდა 201 დღე. წლის განმავლობაში თითქმის ყველა შეგირდი სხვა და სხვა დროს ავლდებოდა ვაკეითილებს, რის მიზეზად მასწავლებელი ასახელებს ცალკე იმას, რომ ბავშვები გაზაფხულში სოფლის მუშაობის ვაცხოველებისთანავე ეხმარებოდნენ თავიანთ ოჯახებს და ცალკე კიდევ ხშირს ავადმყოფობას. 1915 სამოსწავლო წელს სასწავლო დღე იყო 87. სარწმუნოების მხრივ ის 48 ბავშვი, რომელიც სწავლის დასაწყისში გამოცხადდა, ასე იყვნენ დანაწილებულნი: 39 მართლმადიდებელი და 4 ჭრიგორიანი. ეროვნების მიხედვით 39 ბავშვი იყო ქართველი; დანარჩენი 4 კრიგორიანი. რაც შეეხება წლოვანებას შეგირდებისას, მათი მეტი წილი/24/ იყო 10 წლამდის, 19 კი მოზრდილნი 15 წლამდის. მასწავლებლის აზრით, სკოლას წიგნების მხრით თითქმის არაა შევსაფუგებოთ, გარდა 6 ცალი სამასწავლებლო წიგნისა, რომლის ღირებულება 5-40კ. განისაზღვრება. საანგარიშო წელს სკოლას ჰქონდა მასწავლებლისათვის სულ 12 წიგნი. 7-50 კ. ღირებულებისა.

სწავლა-აღზრდის საქმე ურიგოდ არ იყო დაყენებული: მასწავლებელი გარდა სავალდებულო საგნებისა შეგირდებს ასწავლიდა ბუნების მეცნიერებებს, ხაფვა-ხაზვას და სიმღერას; მანვე მოაწყო სალიტერატურო დღილი.

სკოლაზე დაიხარჯა 714-21 კ.

6. გერგეთის სკოლა- დაარსდა I სექტემბერს 1910 წელს. სკოლას აქვს საკუთარი შენობა, ღირებული 3000 მანეთად და აშენებული საგანგებოდ სკოლისათვის. იგი შესდგება სამი ოთახისაგან. სკოლასთან ერთად მოთავსებულია მასწავლებელიც. საანგარიშო წელს შეკეთებულ იქმნა სკოლის ოთახი. დღეს სკოლა მაინც საჭიროებს მასწავლებლის დასკვნით, ორ მუხარს, /ფერს/. მასწავლებლად ამ სკოლაში ითვლება ისილორე ფაფიშვილი, რომელსაც დასრულებული აქვს კავკავის საქალაქო სკოლა და შემდეგ მიღებულია დასაწყისს სკოლის მასწავლებლობის მოწმობა. იგი ასწავლის აგრეთვე სამღვთო სკულსაც. ფაფიშვილმა ამ სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა და უკვე ექვსი წელიწადია რაც მასწავლებლობს. ჯამაგირად მას ჰქონდა I ივლისამდე თვეში



48 მ.მძვ., ხოლო ამის შემდეგ - 548.-603.

